

დრ. როინ მიგრიაული

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, ადვოკატი

ანდრეას ბეარი

დიუსელდორფის ობერლანდის სასამართლოს სამართლის რეფერენდარი

საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში

1.

საკუთარ თავთან გარიგების დადებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი აწესრიგებს. ამ ნორმის ზოგადი დანაწესის თანახმად დაუშვებელია, რომ წარმომადგენელმა წარმოდგენილი პირის სახელით დადოს გარიგება ან საკუთარ თავთან, ან – როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა. მაშასადამე, წარმომადგენელს არა აქვს უფლება ერთდროულად გარიგების ორივე მხარეს წარმოადგენდეს¹. მარტივად რომ ავხსნათ, დაუშვებელია, რომ გარიგების ორივე მხარის ხელმძღვრედ ერთი და იგივე პირი მოგვევლინოს.

როგორც მოცემული ნორმის ანალიზიდან ირკვევა, ქართული სამოქალაქო სამართალი საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობის ორ შემთხვევას ითვალისწინებს. პირველ შემთხვევაში, ერთი და იგივე პირი ერთ გარიგებაში წარმოდგენილ პირსაც წარმოადგენს და – საკუთარ თავსაც. ამ შემთხვევას იურიდიულ ლიტერატურაში “თვითკონტრაქტირებას” უწოდებენ.

მაგალითი 1: შპს “მშენებლის” დირექტორმა დავით გიორგაძემ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება ცემენტის შეძენაზე ინდ. მეწარმე “დავით გიორგაძესთან”. ვინაიდან ინდ. მეწარმე საქმიან ურთიერთობაში როგორც ფიზიკური პირი გამოდის, ადგილი აქვს საკუთარ თავთან გარიგების დადებას.

მეორე შემთხვევა სახეზეა, როდესაც ერთი და იგივე პირი ერთ გარიგებაში ორ სხვადასხვა პირს წარმოადგენს, ანუ იმავედროულად ამ ორივე პირის წარმომადგენლად გვევლინება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს “წარმომადგენლობათა სიმრავლეს”². გერმანულ ლიტერატურაში ამ შემთხვევას

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 298.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 299

“მრავალმხრივ წარმომადგენლობას” (Mehrfachvertretung), ზოგჯერ ასევე – “ორმაგ წარმომადგენლობასაც” (Doppelvertretung) უწოდებენ³.

მაგალითი 2: შპს “მშენებლის” დირექტორმა დავით გიორგაძემ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება ცემენტის შეტენაზე შპს “ცემენტთან”, რომლის დირექტორსაც ასევე თვითონ (დავით გიორგაძე) წარმოადგენდა. ვინაიდან დავით გიორგაძე ერთდროულად ნასყიდობის ხელშეკრულების ორივე მხარეს წარმოადგენს, ადგილი აქვს საკუთარ თავთან გარიგების დადებას.

საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იმით აიხსნება, რომ შეიძლება მომავალში ადგილი ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტს⁴. გერმანულ სამართალშიც საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვის საფუძველი ისაა, რომ ასეთი გარიგების დადებისას თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის. მათი ინტერესთა დაპირისპირება კარგად ვლინდება ქვემოთ მოცემულ მე-3 მაგალითში.

მაგალითი 3: ავტომობილებით მოვაჭრე ფირმა „დილერი“ წარმოადგენს შპს-ას, რომლის ერთადერთი დირექტორია ანდრო დათაძე. მანქანების გაყიდვისას დირექტორი ანდრო დათაძე, როგორც წესი, ცდილობს, რათა თავის ფირმას საუკეთესო პირობები შეუქმნას, ანუ რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს მანქანები და ფირმას მეტი შემოსავალი მოუტანოს. როდესაც ანდრო დათაძე გვევლინება როგორც კერძო პირი, იგი, რა თქმა უნდა, ცდილობს თავისთვის, ასევე საუკეთესო პირობებით დადოს გარიგება, ანუ რაც შეიძლება იაფად შეიძინოს მანქანა ფირმისაგან. თუკი იგი მანქანას თავისივე ფირმისაგან შეიძენს, იგი ეცდება, რომ ნაკლები ფასი გადაიხადოს მასში. ამიტომ თავისივე ფირმისაგან მანქანის შეძენის შემთხვევაში ანდრო დათაძემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვისი ინტერესები წამოწიოს წინა პლანზე: ფირმისა თუ საკუთარი თავისა. თუკი იგი ფირმის ინტერესებისათვის იმოქმედებს, მაშინ მან საკუთარ თავს ძვირად უნდა მიჰყიდოს მანქანა, ხოლო თუკი საკუთარი ინტერესებისათვის იმოქმედებს, მაშინ იაფად უნდა შეიძინოს მანქანა თავისივე ფირმისაგან.

³ Palandt, BGB-Kommentar § 181, Rn. 1

⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 299

არსებული ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ წარმოდგენილ პირს ზიანი შეიძლება იმით მიაღვეს, რომ მისივე წარმომადგენელი, ანუ მის მიერვე უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (აქ: ფირმის დირექტორი) საკუთარ თავთან გარიგების დადებისას საკუთარ, პირად ინტერესებს უფრო წინა პლანზე დააყენებს, ვიდრე წარმოდგენილი პირისას (აქ: ფირმისას). ზემოთ მოყვანილ მაგალითში ანდრო დათაძეს, როგორც ავტომობილებით მოვაჭრე ფირმის წარმომადგენელს (დირექტორს), შეეძლო არათუ იაფად მიეყიდა თავისი თავისათვის მისთვის სასურველი ავტომანქანა, არამედ ერუქებინა კიდევ იგი თავისთვის – და ასეთი გარიგება ნამდვილი იქნებოდა.

მსგავსი სიტუაცია გვაქვს აკრძალვის მეორე შემთხვევაშიც, ანუ ორმაგი წარმომადგენლობის დროს. პირი, რომელიც ხელშეკრულების ორი სხვადასხვა მხარისათვის დებს ერთ გარიგებას, არც თუ იშვიათად დააღწევს თავს ინტერესთა კონფლიქტს. მისთვის ძნელი გადასაწყვეტი ხდება, თუ რომელ წარმოდგენილ პირს შეუქმნას საუკეთესო პირობები. ამის დასტურია ქვემოთ მოცემული მაგალითი.

***მაგალითი 4:** ანდრო დათაძე წარმოდგენს როგორც ავტომობილებით მოვაჭრე ფირმა “დილერს”, ასევე – ფირმა „განთიადსაც”, რომლისთვისაც სურს მას მანქანის შეძენა. ასეთ დროს იგი აღმოჩნდება კონფლიქტურ სიტუაციაში, ვინაიდან მისი გადასაწყვეტი ხდება, თუ ხელშეკრულების რომელ მხარეს მიანიჭოს მან უპირატესობა და რომელს განუსაზღვროს საუკეთესო ფასი.*

აქაც დგას იმის საშიშროება, რომ ანდრო დათაძე ხელშეკრულების ერთი მხარის სასარგებლოდ იმოქმედებს, მიანიჭებს რა მას უპირატესობას, და იმავედროულად იმოქმედებს მეორე მხარის საწინააღმდეგოდ, ისე რომ თავისი მოქმედებით შეიძლება მას ზიანი მიაყენოს.

სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლით (ისევე როგორც გერმანული სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლით) მოწესრიგებულ თვითკონტრაქტებისა და ორმაგი წარმომადგენლობის ორივე შემთხვევაში კანონმდებელი ამოდიოდა სწორედ ამ საფრთხიდან, რომელიც ყოველთვის ექმნება ერთი წარმოდგენილი პირის ინტერესებს. თუმცა, თვითკონტრაქტებისა და ორმაგი

წარმომადგენლობისას არასდროს არ უნდა დავასკვნათ, რომ წარმომადგენელი ყოველთვის წარმოდგენილი პირის საწინააღმდეგოდ და მისთვის ზიანის მისაყენებლად მოქმედებს. თუკი მე-3 მაგალითში მოყვანილ შემთხვევაში ავტომობილებით მოვაჯრე ფირმა „დილერის“ პარტნიორები დაეთანხმებოდნენ კერძო პირის – ანდრო დათაძის მიერ შემოთავაზებულ ფასს, ხელშეკრულების ორივე მხარე სრულიად გაუმართლებელ სიძნელებებში აღმოჩნდებოდა, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულება მხოლოდ იმის გამო არ ამოქმედდებოდა, რომ ანდრო დათაძე როგორც ავტომობილებით მოვაჯრე ფირმის წარმომადგენელი ხელშეკრულებას თავის თავთან დადებდა.

მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლისა და გერმანული სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის სიტყვათა თანმხვედრი წყობისა („წარმომადგენელს არ შეუძლია“, გერმ. „der Vertreter kann nicht“), წარმომადგენელის გარიგება საკუთარ თავთან ამით კი არ არის ბათილი, არამედ აღნიშნული გარიგება მხოლოდ “მოლივლივედ ბათილია” (schwebend unwirksam)⁵. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი პირისათვის ნებისმიერ დროს უნდა იყოს შესაძლებელი, რომ თავისი ინტერესების მიხედვით ასეთი გარიგება მოიწონოს და ამით ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილად აქციოს, ან არ მოიწონოს და ამით გააბათილოს იგი. ამრიგად, თვითკონტრაქტებისა და ორმაგი წარმომადგენლობის შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი (გერმანული სამოქალაქო კოდექსის 177-ე მუხლი).

2.

მართალია, ქართული სამოქალაქო სამართალი ზოგადად დაუშვებლად მიიჩნევს საკუთარ თავთან გარიგების დადებას, მაგრამ იგი მაინც აღგენს ორ გამონაკლისს ასეთი გარიგებებისათვის:

1) პირველი, როდესაც წარმომადგენელს თანხმობა უკვე აქვს მიცემული ასეთი გარიგების დადებაზე,

2) და მეორე, როდესაც გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

პირველი გამონაკლისი გულისხმობს წარმოდგენილი პირის წინასწარი თანხმობის არსებობას.

⁵ Palandt, BGB-Kommentar § 181, Rn. 15

მაგალითი 5: ანდრო დათაძე, რომელიც წარმოადგენს ავტომობილებით მოვაჭრე ფირმა “დილერის” დირექტორს, ფირმის წესდების თანახმად უფლება აქვს დადოს გარიგება საკუთარ თავთან.

ფირმის წესდებაში ასეთი ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, ფირმის პარტნიორებს უფლება აქვთ ცალკე საბუთით მოუხსნან დირექტორს ანდრო დათაძეს საკუთარ თავთან გარიგების დადების შეზღუდვა, ანუ მისცენ მას თანხმობა. ასეთი თანხმობის გაცემისათვის გამოიყენება ცალმხრივი გარიგების ნორმები.

რაც შეეხება მეორე გამონაკლისს, იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ საკუთარ თავთან გარიგების დადება მიმართული უნდა იყოს რაიმე უკვე არსებული ვალდებულების შესასრულებლად.

მაგალითი 6: ავტომობილებით მოვაჭრე ფირმა “დილერმა” ანდრო დათაძესთან გააფორმა ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იქნა ორივე მხარის მიერ. ანდრო დათაძემ გადაიხადა ავტომანქანის ღირებულების მხოლოდ 10%, ხოლო დანარჩენი თანხა მას უნდა გადაეხადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კვირის ვადაში. თანხის სრულად გადახდამდე, შეთანხმებისამებრ, ავტომანქანა კვლავ ფირმის საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო და იგი ფირმის სადემონსტრაციო დარბაზში უნდა მდგარიყო. ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 კვირაში ანდრო დათაძე დაინიშნა აღნიშნული ფირმა “დილერის” დირექტორად. ვინაიდან ფირმას გააჩნდა ვალდებულება ფიზიკური პირი ანდრო დათაძის მიმართ (გადაეცა მისთვის ავტომანქანა თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში), დირექტორი ანდრო დათაძე შეკრული ხდება ამ ვალდებულებით და ავტომანქანის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ მან უნდა გადასცეს თავის თავს შეძენილი ავტომანქანა, ანუ დადოს თავის თავთან გარიგება.

ამრიგად, საკუთარ თავთან გარიგების დადებად, თუკი უკვე არსებობს რაიმე ვალდებულება, იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს, თუნდაც ვალდებულების მეორე მხარეს საკუთარი პიროვნება აღმოჩნდეს. აღნიშნულ მაგალითში საინტერესოა, რომ მხარეები შეთანხმდნენ მყიდველზე საკუთრების პირობით გადასვლაზე, ანუ მყიდველი მხოლოდ მაშინ შეიძენდა საკუთრების

უფლებას, თუკი იგი საფასურს სრულად გადაიხდიდა. ამას ქართულ სამოქალაქო სამართალში პირობადებული საკუთრება ეწოდება⁶.

3.

საკუთარ თავთან გარიგების დადების მეტი შესაძლებლობაა სამეწარმეო საზოგადოებებში, განსაკუთრებით მაშინ, თუ სამეწარმეო საზოგადოება ერთი პარტნიორისაგან შედგება, ხოლო ეს უკანასკნელი იმავდროულად მის დირექტორსაც წარმოადგენს. ერთპარტნიორიანი, ანუ ერთკაცა სამეწარმეო საზოგადოება შეიძლება იყოს მხოლოდ შპს⁷, ასევე – სააქციო საზოგადოება⁸, რადგან სამეწარმეო სამართალი და პრაქტიკა უშვებს აღნიშნული კაპიტალური საზოგადოებების ერთი პირის მიერ შექმნის შესაძლებლობას.

წინამდებარე სტატიაში, მართალია, განხილულია ერთკაცა შპს-ში თვითკონტრაქტების დაუშვებლობის შემთხვევები, მაგრამ მასში მოცემული ანალიზი და დასკვნები თანაბრად შეიძლება გამოვიყენოთ ასევე ერთკაცა სააქციო საზოგადოებების მიმართ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თვითკონტრაქტებისა და ორმაგი წარმომადგენლობის აკრძალვა ემსახურება წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვას. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, უნდა გამოვიყენოთ თუ არა ეს ნორმა ერთკაცა შპს-ის დროსაც, რამეთუ აქ ინტერესთა კონფლიქტი არ შეიძლება არსებობდეს⁹.

მაგალითი 7: ანდრო დათაძე არის ავტომობილებით მოვაჭრე ფირმა „განთიადის“ ერთადერთი დირექტორი და იგი ასევე მისი ერთადერთი პარტნიორია. თუკი ანდრო დათაძე თავისივე ფირმისაგან თავისთვის ყიდულობს ავტომობილს, მხოლოდ მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს მან მანქანისათვის. არ არსებობს არავითარი საფრთხე იმისა, რომ იგი ფირმის ინტერესებს დაზარალებს, ვინაიდან იგი ფირმას ხომ თავადვე წარმოადგენს¹⁰.

⁶ სამკო, მუხლი 188, გერმანულ სამართალში აღნიშნულ სამართალურიერთობას Eigentumsvorbehalt ეწოდება

⁷ მეწკა, მუხლი 44

⁸ მართალია, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი პირდაპირ არ მიუთითებს ამის შესახებ, მაგრამ სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი და არსებული სამეწარმეო პრაქტიკა (განსაკუთრებით სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში) იძლევა ასეთი დასკვნის შესაძლებლობას

⁹ BGHZ 75, 358 und BGH in NJW 71, 1355

¹⁰ Scholz, Kommentar zum GmbH-Gesetz I.Band (§§ 1-44), 8. Auflage, Rn. 89ff.

თუმცა გერმანულ მართლმსაჯულებასა და ლიტერატურაში ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ, გამოყენებულიყო თუ არა თვითკონტრაქტების აკრძალვა ერთკაცა შპს-შიც. ამ კამათში მნიშვნელოვან არგუმენტებს წარმოადგენდა სამართლებრივი უსაფრთხოება (Rechtssicherheit) და კრედიტორთა ინტერესების დაცვა.

სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საკუთარ თავთან დადებული აბსოლუტურად ყველა გარიგება აკრძალულიყო. დაკნინებულ სამართლებრივ უსაფრთხოებასთან (mangelnde Rechtssicherheit) გვექნებოდა საქმე, თუკი ამ აკრძალვიდან ამოღებული იქნებოდა მხოლოდ გარიგებათა პატარა ჯგუფი (კერძოდ, გარიგებები ერთკაცა შპს-ში).

რაც შეეხება კრედიტორთა ინტერესების დაცვას, ერთკაცა შპს-ში ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ პარტნიორი, თავისი კრედიტორისათვის ზიანის მიყენების მიზნით, საზოგადოების ქონების ნაწილებს თავის თავსა (როგორც კერძო პირსა) და საზოგადოებას შორის აქეთ-იქით თვითნებურად გადაადგილებს¹¹, ისე რომ მას ნაკლებად მიუწვდებოდეს ხელი ქონებაზე. თუკი ძირითადად იქიდან ამოვალთ, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსის §181 (ანუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი) ერთკაცა შპს-ს მიმართაც იქნას გამოყენებული (ანუ აიკრძალოს საკუთარ თავთან გარიგებების დადება), კრედიტორს შეუძლია შპს-თან ხელშეკრულების დადებისას დარწმუნდეს, ეს აკრძალვა წესდებით არის გაუქმებული (ანუ დაშვებული გარიგების დადება) თუ – არა. თუკი წესდება არ აუქმებს გარიგების დადების აკრძალვას, მაშინ ერთკაცა შპს-სა და კერძო პირს შორის გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია პარტნიორის გადაწყვეტილება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ფორმალურ წინაპირობებს. კრედიტორს შეუძლია ზუსტად დაინახოს, რომელ დღეს და რა წინაპირობებით იქნა ხელშეკრულება დადებული ერთკაცა შპს-სა და ერთადერთ პარტნიორს როგორც კერძო პირს შორის. თუკი წესდებით ნებადართულია საკუთარ თავთან გარიგების დადება, მაშინ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულების დადებამდე გადაწყვიტოს, გარისკოს თუ – არა, ვთქვათ, სესხის მიცემა ერთკაცა შპს-თვის, ვინაიდან არსებობს საზოგადოების ქონების გვერდზე გაცურების საფრთხე.

¹¹ BGH in NJW 60, 2285

იმპერიის სასამართლომ¹² და ასევე, თავისი საქმიანობის პირველ წლებში, – ფედერალურმა სასამართლო პალატამ¹³ განმარტა, რომ საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-შიც დაუშვებელია. ფედერალურმა სასამართლო პალატამ მხოლოდ თავის პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში 1971წ. უარი თქვა თავის აქამდე არსებულ სამართლებრივ მოსაზრებაზე და განმარტა, რომ საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვა ერთკაცა შპს-შიც არ უნდა იქნას გამოყენებული¹⁴. მხოლოდ 1981წ. კანონმდებელმა კანონში ცვლილების შეტანით ცალსახა და გარკვეული მოწესრიგება შემოიღო და ამით დაასრულა ათეულწლიანი დავა. აღნიშნული მოწესრიგება აისახა შპს-ის შესახებ კანონის §35-ის მე-4 აბზაცში, რომლის თანახმადაც გერმანული სამოქალაქო კოდექსის §181-ის (ანუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი) ნორმები გამოიყენება ასევე ერთკაცა შპს-ს მიმართაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონით ერთკაცა შპს-შიც აკრძალა საკუთარ თავთან გარიგების დადება.

სამწუხაროდ, ქართულ კორპორაციულ სამართალში ეს საკითხი დღემდე ღიაა და არ არსებობს ერთკაცა შპს-ში საკუთარ თავთან გარიგების დადების ან აკრძალვის მოწესრიგება. საქართველოში არ არსებობს, სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაც ზოგადად წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის საკუთარ თავთან გარიგების დადების შემთხვევებზე. ასეთი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, ვფიქრობთ, აქცენტები გაკეთდებოდა სწორედ წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის ინტერესთა კონფლიქტზე. სასამართლო გადაწყვეტილებების კვლევამ დაგვარწმუნა, რომ არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა ერთკაცა შპს-ში თვითკონტრაქტების აკრძალვის ან დაშვების შესახებაც. თუმცა, არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ შესაბამის სამართლებრივ მოწესრიგებამდე საქართველოს სასამართლოები, გერმანიის უმაღლესი სამოქალაქო სასამართლოს მსგავსად, საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვას ასევე ერთკაცა შპს-ს მიმართაც გამოიყენებენ, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით არ იქნებოდა გამართლებული.

იმისათვის, რომ საქართველოში თავიდან იქნას აცილებული გაურკვეველი შედეგების მქონე ხანგრძლივი სასამართლო დავები თვითკონტრაქტების სამართლებრივად (ან პრაქტიკულად) სწორად გამოყენებაზე, ისიც იმ

¹² RGZ 68, 175

¹³ BGHZ 49, 117

¹⁴ BGHZ 75, 358, Raiser, Thomas: „Das Recht der Kapitalgesellschaft“, 3. Auflage § 32 Rn.36

პირობებში, რომ ქართულ კორპორაციულ სამართალში არ არსებობს მკაფიო მოწესრიგება, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ერთკაცა შპს-ის წესდების მომზადებისას თავიდანვე იქნებოდა გათვალისწინებული პარტნიორის თანხმობის შესაძლებლობა საკუთარ თავთან (ანუ დირექტორთან) გარიგების დადებაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წესდებაში ასეთი ჩანაწერი დაცვის უფრო მეტ გარანტიებს შეუქმნიდა კრედიტორთა ინტერესებს. კრედიტორს ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებოდა წინასწარ გასცნობოდა წესდებას და მასში ასეთი ჩანაწერის აღმოჩენის შემთხვევაში თავი შეეკავებინა ერთკაცა შპს-თვის სესხის მიცემაზე ან სხვა მსგავსი გარიგების დადებაზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემოკლებით – „სამკო“)
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, 2002წ.
3. მეწარმეთა შესახებ კანონი (შემოკლებით – “მეწკა”)
4. Bürgerliches Gesetzbuch (abgekürzt BGB)
5. Bundesgerichtshofentscheidungen in Zivilsachen (abgekürzt BGHZ), Band 49 und 75
6. Amtliche Sammlung der Reichsgerichtsrechtsprechung in Zivilsachen (abgekürzt RGZ), Band 68
7. Palandt, BGB-Kommentar § 181, 52. Auflage
8. Neue Juristische Wochenschrift (abgekürzt NJW), 1960 und 1971
9. Scholz, Kommentar zum GmbH-Gesetz, I.Band (§§ 1-44), 8. Auflage
10. Raiser, Thomas: „Das Recht der Kapitalgesellschaft“, 3. Auflage